საქართველოს საოჯახო მედიცინის
პროფესიონალთა კავშირი
თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის ქ. N 57
ტელ: + 995 322 95 98 66
ელ.ფოსტა: nfmtc@nilc.org.ge

GEORGIA FAMILY MEDICINE
ASSOCIATION
57 M.Tsinamdzghvrishvili str. Tbilisi, Georgia
Tel.: + 995 322 95 98 66
e-mail: nfmtc@nilc.org.ge

№1-25/14 **13/07/2021**

რეცენზია

ვენური თრომბოემბოლიზმის რისკის შეფასება, გამოვლენა და მართვა პირველად ჯანდაცვაში

პრობლემის აქტუალობა

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციას განხილვისა და რეცენზირების მიზნით წარედგინა პროტოკოლი „ვენური თრომბოემბოლიზმის რისკის შეფასება, გამოვლენა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“. პროტოკოლი შემუშავებულია პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოში ჩეხეთის კარიტასის (CCR Georgia) მიერ ჩეხეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.

პროტოკოლი ეყრდნობა ბრიტანეთის კლინიკური დახელოვნების ინსტიტუტის 2020 წლის გაიდლაინს „ვენური თრომბოემბოლიური დაავადება: დიაგნოსტიკა, მართვა და თრომბოფილიაზე ტსტირება“, ღრმა ვენების თრომბოზის მკურნალობის კანადის 2018 წლის გაიდლაინს, ამერიკის ოჯახის ექიმთა ასოციაციის ვენური თრომბოემბოლიზმის მკურნალობს 2019 წლის კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინს Uptodate-ს სტატიებს და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების უახლეს რეკომენდაციებს შესაბამის თემაზე.

ვენური თრომბოემბოლიზმი მთელს მსოფლიოში ავადობისა და სიკვდილობის წამყვანი მიზეზია, კერძოდ, სხვადასხვა წყაროს მონაცემებით დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში 37 წამში ერთხელ ერთი ადამიანი იღუპება ვენური თრომბოემბოლიზმის (VTE) გამო, 4-დან 1 ადამიანის გარდაცვალების მიზეზი სისხლში თრომბების წარმოქმნაა, VTE-ს შემთხვევათა 55-60% ვითარდება ჰოსპიტალიზაციის პერიოდში ან ჰოსპიტალიზაციის შემდეგ, VTE წარმოადგენს ჰოსპიტალში სიკვდილიანობის №1 თავიდან აცილებად მიზეზს (https://thrombosisuk.org/thrombosis-statistics.php). ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ COVID-19-ის შემთხვევაში განსაკუთრებით აქტუალურია თრომბოზული გართულებების საკითხი, რადგანაც როგორც სხვადასხვა კვლევით დადგენილია, COVID-19-ის გამო ჰოსპიტალიზებული პაციენტების 30%-ს აღენიშნება ვენური თრომბოემბოლიზმის გართულება, რომლის დროსაც გაცილებით მაღალია სიკვდილიანობის ალბათობა (https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/1358863X21995566).

ამდენად, VTE-ს დროული გამოვლენის, რისკის შეფასების, მკურნალობისა და ადეკვატური რეფერალის საკითხი კრიტიკულად მნიშვნელოვანია პირველადი ჯანდაცვის ექიმებისთვის, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად შემაცირონ ამ პრობლემით გამოწვეული მძიმე გართულებები. შესაბამისად, თანამედროვე, უახლეს მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების არსებობის აქტუალობა პირველადი ჯანდაცვის რგოლისთვის უდაოა.

პროტოკოლის სტრუქტურა და შინაარსი

პროტოკოლის სტრუქტურა სრულ შესაბამისობაშია დაავადებათა მართვის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) შემუშავების სახელმძღვანელოსთან. ავტორების მიერ ჩატარებულია ყოვლისმომცველი სამუშაო უახლესი ავტორიტეტული საერთაშორისო რეკომენდაციების მოძიებისა და პროტოკოლში მათი ინტეგრაციის მიმართულებით.

პროტოკოლში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ვენური თრომბოემბოლიზმის სიმძიმის შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება დაავადების სიმპტომებსა და ნიშნებს, ხოლო აღნიშნულის საფუძველზე ოჯახის ექიმმა მარტივად შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება პაციენტის მკურნალობის ადგილის შესახებ. მოწოდებულია იმ აუცილებელი გამოკვლევების ნუსხა, რომლებიც უნდა ჩაუტარდეს პაციენტს პირველ 4 საათსა და პირველ 24 საათში, ანტიკოაგულაციური მკურნალობის დაწყების რეკომენდაციები პრეპარატების გვერდითი ეფექტებისა და სიფრთხილის ზომების გათვალისწინებით, ანტიკოაგულაციური მკურნალობის თავისებურებები პაციენტებში კომორბიდული პათოლოგიებით და ხანგრძლივი პრევენციული მკურნალობის საკითხები. ამავე დროს აღწერილია პოტენციური გართულების - სისხლდენის რისკის შეფასების სქემა და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.

პროტოკოლში კარგად არის განხილული პაციენტთან საკომუნიკაციო თემები და მისი განათლების მნიშვნელობა პრობლემის ეფექტური მართვისა და გართულებების თავიდან აცილების მიზნით.

თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საწყისი შეფასების, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ალგორითმები, რაც პჯდ პროფესიონალებს უადვილებს რეკომენდაციების აღქმას და პროტოკოლის პრაქტიკულ გამოყენებას.

პროტოკოლის შესაბამისობა პჯდ ექიმების პროფესიულ კომპეტენციასა და ქსელში არსებულ რესურსთან

პროტოკოლში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება პჯდ ექიმების კომპეტენციას და ქსელში არსებულ რესურსებს. ასევე, მნიშვნელოვანია პჯდ პერსონალის ტრენინგი განახლებული პროტოკოლის დანერგვის მიზნით.

დასკვნა

- წარმოდგენილი პროტოკოლი „ვენური თრომბოემბოლიზმის რისკის შეფასება, გამოვლენა და მართვა პირველად ჯანდაცვაში“ წარმოადგენს კარგად მომზადებულ სახელმძღვანელო დოკუმენტს პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის და ხელს შეუწყობს ვენური თრომბოემბოლიზმის დროული გამოვლენისა და მართვის ხარისხის გაუმჯობესებას.
- პროტოკოლი აკმაყოფილებს ამ ტიპის დოკუმენტებისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას და რეკომენდაციას ვუწევთ აღნიშნული სახით მის დამტკიცებას.

პატივისცემით,

ირინე ქაროსანიძე

ა(ა)იპ “საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის” პრეზიდენტი